# რეკომენდაციები ენაბორძიკის მქონე ბავშვებთან მუშაობისას

მოერიდეთ ისეთ მიმართვებს, როგორებიცაა:
„ნელა ილაპარაკე“,  „უბრალოდ მოდუნდი“

ნუ ეცდებით დაასრულოთ სიტყვები ბავშვის ნაცვლად, ან არ ილაპარაკოთ მის მაგივრად.

დაეხმარეთ სხვა თანატოლებს, რომ ისწავლონ რიგის დაცვა, როგორც საუბრის, ასევე მოსმენის პროცესში. ზოგადად ყველა ბავშვს, განსაკუთრებით კი ენის ბორძიკის მქონეს, უადვილდება საუბარი, როდესაც ნაკლებად აწყვეტინებენ და გრძნობს მსმენელის ყურადღებას.

ენის ბორძიკის მქონე ბავშვისგან იგივე მოცულობის და ხარისხის სამუშაოს შესრულება მოითხოვეთ, რასაც ენის ბორძიკის არმქონე ბავშვისგან ითხოვთ.

ესაუბრეთ  აუჩქარებლად და საუბრისას ხშირად გააკეთეთ პაუზა.

აგრძნობინეთ, რომ ყურადღებას ამახვილებთ მისი ნათქვამის შინაარსზე და არა ფორმაზე.

ერთი-ერთზე გაესაუბრეთ ენის ბორძიკის მქონე ბავშვს საკლასო ოთახში ან სხვა გარემოში  საჭირო აკომოდაციებთან დაკავშირებით. პატივი ეცით ბავშვის საჭიროებებს, მაგრამ ნუ იქნებით ყველაფრის ნებადამრთველი.

არ აქციოთ ენის ბორძიკი სასირცხვილო რამედ, ისაუბრეთ ენის ბორძიკზე ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა საკითხზე.